

საქართველოს უნივერსიტეტი

ხელოვნებისა და ჰუმანიტარულ მეცნიერებათა სკოლა

ფილოლოგია

ხელნაწერის უფლებით

თათია ჩირაძე

თანამედროვე ლინგვისტური კვლევების ინტეგრაციულობის
არსი

ფილოლოგიის დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად
წარმოდგენილი ნაშრომის

სადისერტაციო მაცნე

232.1.3

თბილისი

2021

სადისერტაციო ნაშრომი შესრულებულია საქართველოს
უნივერსიტეტის ხელოვნებისა და ჰუმანიტარულ მეცნიერებათა
სკოლაში.

სამეცნიერო ხელმძღვანელი:

მაია ჩხეიძე,
ფილოლოგიის მეცნიერებათა
დოქტორი,
პროფესორი

ოფიციალური ექსპერტები:

მადონა შელია,
ფილოლოგიის მეცნიერებათა
დოქტორი,
ასოცირებული პროფესორი

რუსუდან გოცირიძე,
ფილოლოგიის დოქტორი,
პროფესორი

დისერტაციის დაცვა შედგება 2021 წლის 16 აგვისტოს, 16:00 საათზე.
მისამართი: თბილისი, საქართველოს უნივერსიტეტი, კოსტავას
77ა, #519 აუდიტორია.

დისერტაციის გაცნობა შეიძლება საქართველოს უნივერსიტეტის
ბიბლიოთეკაში

სადისერტაციო მაცნე დაიგზავნა 2020 წლის 24 მაისს.

სადისერტაციო საბჭოს მდივანი:

ნათია მანჯიკაშვილი

შესავალი

ლინგვისტიკის, როგორც მეცნიერების განვითარება, წარმოადგენს ენის თეორიის არა მხოლოდ ქრონოლოგიურ თანმიმდევრობას, არამედ ლინგვისტური შემეცნების, შესაბამისად კი, ლინგვისტური მეთოდოლოგიის ჩამოყალიბების რთულ და წინააღმდეგობრივ ისტორიასაც.

ნებისმიერი მეცნიერების მდგომარეობა მისი ისტორიის ყოველ მონაკვეთში განპირობებულია:

1. იმ ამოცანებით, რომელსაც მას უყენებს საზოგადოება;
2. საკუთარი განვითარების ისტორიის თავისებურებით;
3. მისი მომიჯნავე და არამომიჯნავე მეცნიერებათა მდგომარეობით.

მეცნიერების განვითარება ხდება ორი, ერთმანეთისაგან განსხვავებული და იმავდროულად, ურთიერთდაკავშირებული მიმართულებით, კერძოდ: შინაგანი დიფერენციაციისა და სხვა მეცნიერებებთან ინტეგრაციის მიმართულებებით. ორივე პროცესი შეიძლება მიმდინარეობდეს ერთდროულად. თანამედროვე მეცნიერების, მათ შორის, ლინგვისტიკის მახასიათებელს წარმოადგენს პოლიპარადიგმულობა და ინტეგრატიულობა.

ხშირად სირთულე მეთოდოლოგიურ წანამდვართა ექსპლიკაციისა, რომელიც მოითხოვს ახლებურ მეცნიერულ რეფლექსიასა და ღრმა თეორიულ ცოდნას, ვლინდება ინტეგრატიულ კვლევათა ფალსიფიცირებაში. საქმე ისაა, რომ ხშირად ინტეგრატიულად კვალიფიცირდება კვლევა, რომელშიც ერთ-ერთი დისციპლინა გააზრებულია დომინანტურად, მეორე კი - არადომინანტურად. სწორედ აღნიშნული ფაქტი განსაზღვრავს კვლევის აქტუალობას.

კვლევის მიზანია კონცეპტის ინტეგრატიული კვლევა შინაარსობრივი განსაზღვრულობის მქონე მთლიანობრივი ველის შექმნის მიზნით.

კავშირი ცნებებს „მთლიანობასა“ და „მიზანს“ შორის აშკარაა. მიზნის მიღწევა გულისხმობს ქმედების დასრულებას, წრის შეკვრას, სისრულესა და სრულყოფილებასთან მისვლას. მიზანი მიღწეულია მაშინ, როდესაც აგებულია მთლიანობა.

თუ გავითვალისწინებთ იმ ფაქტს, რომ ჭეშმარიტად ინტეგრაციულ კვლევაში უნდა იქნას შენარჩუნებული თითოეული სააზროვნო სივრცის მოდელები და მიდგომები, პრობლემა კიდევ უფრო რთულდება. მეცნიერული ძიების ერთიანი მიმართულება და მონაცემთა ერთობლივი ინტერპრეტაცია შესაძლებელია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ კვლევა ეყრდნობა სააზროვნო სივრცეთა „საზიარო“ თეორიულ დაშვებებსა და მეთოდოლოგიურ წანამძღვრებს. აქ ვეხებით მეთოდოლოგიური ინდივიდუალიზმისა და მეთოდოლოგიური ჰოლიზმის პრინციპის სპეციფიკას. აქვე იკვეთება ამოცანები და ეტაპები, კერძოდ:

პრეინტეგრაციული ეტაპი - ამოცანა: მიზნის ანალიზი, რომელიც აუცილებელია ინტეგრაციის პირობათა გამოვლენისათვის, სტრუქტურირებულ, ფუნქციონალურად დაკავშირებულ კომპონენტთა არსებობა/არარსებობის დადგენა;

ინტეგრაციული ეტაპი - ამოცანები:

1. სტრუქტურულად მოწესრიგებულ, მაგრამ ერთმანეთისაგან განსხვავებულ, ფუნქციონალურად დაკავშირებულ კომპონენტთა აბსტრაქცირება;
2. კომპონენტთა გაერთიანება კონგლომერაციის ან სინთეზის გზით.

პოსტინტეგრაციული ეტაპი - ამოცანები:

1. ინტეგრირებულ კომპონენტთა სისტემატიზაცია;
2. ცოდნის ინტეგრალური სისტემის შექმნა.

ნაშრომის ჰიპოთეზა შემდეგნაირად ჟღერს: კონცეპტის ინტეგრაციული კვლევა განხორციელებადია მეთოდოლოგიური ინდივიდუალიზმისა და მეთოდოლოგიური ჰოლიზმის პრინციპთა ინტეგრაციის გზით.

ინტეგრაციული მეთოდოლოგიის საფუძველს წარმოადგენს მთლიანობრიობის პრინციპი, რომლის თანახმადაც ფენომენი განიხილება რთულ, ღია, მრავალდონიან, მრავალგანზომილებიან და დინამიურ წონასწორობაში მყოფ ერთეულად.

ინტეგრაციული მეთოდოლოგიის კონტექსტში მთლიანობრიობის პრინციპი გულისხმობს საკვლევი ფენომენის სისტემურ ანალიზს. აღნიშნული პრინციპი წარმოადგენს არა მხოლოდ ფენომენის წვდომის საფუძველს, არამედ ფენომენის კონსტრუირებისა და ანალიზის სტრატეგიასაც. სწორედ აღნიშნული სტრატეგია იძლევა არსის, სიღრმისეული კავშირებისა და თვისებების გამოვლენის შესაძლებლობას.

ინტეგრაციული მეთოდოლოგია ორიენტირებულია სხვადასხვა სააზროვნო სივრცეთა შორის არსებული მიმართების გამოვლენაზე. კვლევა ეფუძნება იმანენტურ და არაიმანენტურ მიდგომათა ფარგლებში შემუშავებული მეთოდებისა და პრინციპების სინთეზს.

ნაშრომის მეცნიერული სიახლე იკვეთება შემდეგი იდეის პრაქტიკულ რეალიზაციაში: ინტეგრაციული მიდგომის თანახმად, მთლიანობა (კონცეპტი) წარმოადგენს არა დისკრეტულ ასპექტთა კომბინაციას, არამედ ასპექტთა შორის არსებულ მიმართებათა მთლიანობრივ, განუყოფელ ქსელს. მთელის ნაწილები (კომპონენტები, უჯრედები) მნიშვნელობას იძენენ მხოლოდ მთელთან მიმართების წყალობით.

კვლევის თეორიული ღირებულება მდგომარეობს:

1. მეთოდოლოგიური ინდივიდუალიზმისა და მეთოდოლოგიური ჰოლიზმის ალტერნატიულ მიდგომებად გააზრების რაციონალურობის დადგენაში;
2. ინტეგრალური მეთოდოლოგიის შინაარსის ანალიზში;
3. მეთოდოლოგიური ინდივიდუალიზმისა და მეთოდოლოგიური ჰოლიზმის კომპლიმენტარულობის არსის განსაზღვრაში.

ნაშრომის პრაქტიკულ ღირებულებას განსაზღვრავს კვლევის შედეგების ვალიდურობა ლინგვისტიკის თანამედროვე თეორიებისა და კვლევის მეთოდების, სტრუქტურული ლინგვისტიკისა და ანთროპოლოგიური ლინგვისტიკის სალექციო კურსებისათვის.

კვლევის მასალად გამოყენებულია კონცეპტის „ოცნება“ ენობრივი რეპრეზენტაციები თანამედროვე ინგლისურ ენაში. მასალა მოპოვებულია განმარტებითი ლექსიკონების, მხატვრული ლიტერატურის ნიმუშებისა და ასოციაციური ექსპერიმენტის მონაცემთა ანალიზის შედეგად.

ნაშრომის სტრუქტურა მოიცავს შესავალს, თავებს, ქვეთავებს, დასკვნებსა და ბიბლიოგრაფიას.

შესავალში დასაბუთებულია საკვლევი თემის აქტუალობა და სამეცნიერო სიახლე; განსაზღვრულია კვლევის მიზანი, მიზნის მიღწევისათვის საჭირო ამოცანები და კვლევის ეტაპები, ნაშრომის თეორიული და პრაქტიკული ღირებულება, კვლევის მეთოდოლოგია.

პირველი თავი - მეცნიერება და მეთოდოლოგია - კონცენტრირებულია მთლიანობრივი და სისტემური მიდგომების თავისებურებებისა და მთლიანობის წარმოქმნის პროცესის თავისებურებათა გამოვლენაზე.

მეორე თავში - აქსიოლოგია - განხილულია ღირებულების თეორია და აქსიოლოგია მორალური ფილოსოფიის კონტექსტში; ამერიკული

ოცნება როგორც ამერიკული სამყაროს ღირებულებითი სურათის ბირთვი.

მესამე თავი - ლინგვოკულტუროლოგიის ინტეგრაციულობის არსი - ემდვნება ლინგვისტიკისა და კულტუროლოგიის კვეთაზე გენერირებული შედეგების ანალიზს; ლინგვოკულტურული კონცეპტის სტაბილურობისა და დინამიურობის არსის ინტერპრეტაციას; ლინგვოკულტუროლოგიისა და გამოყენებითი ეთნოლინგვისტიკის სინთეზირების თავისებურებებს.

მეოთხე თავში - კონცეპტის „ონცება“ ანალიზი სხვადასხვა განზომილებაში - წარმოდგენილია კონცეპტის „ოცნება“ ღირებულებითი მნიშვნელობა და კონცეპტის რეპრეზენტაციის სპეციფიკა ინგლისური ენის ლექსიკურ-სემანტიკურ სისტემასა და დისკურსში; კონცეპტის „ონცება“ ფსიქოლინგვისტური მოდელის ანალიზი თანამედროვე ინგლისურ ენაში; კონცეპტის „ოცნება“ პროტოტიპული კოგნიტური მოდელები ინგლისურ ენობრივ ცნობიერებაში; კონცეპტის „ამერიკული ოცნება“ ობიექტივაციის თავისებურება მხატვრულ დისკურსში.

დასკვნა

თანამედროვე ლინგვისტიკა ვითარდება ორი, ერთმანეთისაგან განსხვავებული და იმავდროულად, ურთიერთდაკავშირებული მიმართულებით, კერძოდ: შინაგანი დიფერენციაციისა და სხვა მეცნიერებებთან ინტეგრაციის მიმართულებებით.

თანამედროვე ლინგვისტიკის მაკონსტრუირებელ ნიშანს წარმოადგენს სწრაფვა მთლიანობისაკენ. ინტეგრაციული მიდგომა ფოკუსირებულია სხვადასხვაგვარი ელემენტებისაგან ახალი

მთლიანობის წარმოქმნის პროცესის თავისებურებათა იდენტიფიცირებაზე.

თანამედროვე ლინგვისტიკის ინტეგრირებული ვექტორი ვლინდება ერთმანეთთან მჭიდრო კავშირში მყოფ პროცესებში. თანამედროვე ლინგვისტიკაში იმლება ზღვარი დისციპლინებს შორის და იქმნება სამყაროს ერთიანი მეცნიერული სურათი. ურთიერთგამჭოლი ხდება სხვადასხვა სააზროვნო სივრცეთა ელემენტები - ცნებები, თეორიები, მეთოდები. ინტეგრირებული კვლევა იძენს ინტერდისციპლინარულ ორიენტაციას.

ინტეგრირებული მიდგომის ონტოლოგიური საფუძველი ჰოლიზმის პრინციპია, რომლის თანახმადაც, მთელი გაცილებით მეტია, ვიდრე მისი შემადგენელი ნაწილების ჯამი. სხვადასხვაგვარი ნაწილების გაერთიანების წყალობით, ინტეგრაციის ყოველ ახალ დონეზე ჩნდება რაღაც თვისებრივად ახალი, რომელიც არ გამოიყვანება ერთმანეთისაგან განსხვავებული ნაწილების თვისებათაგან.

ინტეგრირებული მიდგომის გნოსეოლოგიურ საფუძველს წარმოადგენს ორიენტაცია შეთანხმებულობაზე, როგორც ქეშმარიტების კრიტერიუმზე.

ინტეგრირებული მეთოდოლოგიის არსი შემდეგში მდგომარეობს: მთლიანობრივ ერთეულს გააჩნია თვითრეგულაციისა და განვითარების უნარი. მთლიანობრივი ერთეული იერარქიულია. ამ იერარქიაში ყოველი ელემენტი წარმოადგენს „მთლიანს“ მისი ნაწილების მიმართ და „ნაწილს“ უფრო დიდი მთლიანობრივი ერთეულის მიმართ. მთლიანის ნაწილებს შორის ფიქსირდება არა უბრალოდ სუმატური, არამედ ჰორიზონტალური, ვერტიკალური, სტრუქტურული, ფუნქციონალური და მიზეზ-შედეგობრივი მიმართებები. მთლიანობა წარმოადგენს არა დისკრეტულ ობიექტთა კომბინაციას, არამედ ფენომენტთა, მოვლენათა და მიმართებათა

მთლიანობრივ, განუყოფელ ქსელს. მთელის ნაწილები (კომპონენტები) მნიშვნელობას იძენენ მხოლოდ მთელთან მიმართების წყალობით.

პროცესუალური თვალსაზრისით, ინტეგრაცია მიმდინარეობს რამდენიმე ეტაპად. პირველ ეტაპზე ფორმირდება ელემენტებს შორის კავშირები, შემდეგ იშლება მათ შორის ზღვარი. შემდეგ ელემენტები კარგავენ ძველ (ინდივიდუალურ) თვისებებს, უახლოვდებიან ერთმანეთს და იძენენ ახალ თვისებებს.

ლინგვისტური ცოდნის ინტეგრაციულობა წარმოადგენს ექსპანსიონიზმის, ანთროპოცენტრიზმის, ექსპლონატორულობის, ფუნქციონალიზმისა და კოგნიტივიზმის მეცნიერული პრინციპების ფუნქციონირების შედეგს.

ლინგვისტიკაში ექსპანსიონიზმი ასოცირდება ლინგვისტიკის სააზროვნო სივრცის საზღვრების გაფართოებასთან, რაც უზრუნველყოფს ობიექტის კვლევის ახალ შესაძლებლობათა მიებას.

ექსპანსიონიზმი ვლინდება ლინგვისტიკის სხვა მეცნიერებებთან „შეხვედრაში“, ასევე მომიჯნავე მეცნიერებათა გაერთიანებაში ერთ დიდ სააზროვნო სივრცედ. ექსპანსიონიზმის არსი იკვეთება რედუქციონიზმთან კონტრასტირებაში. ექსპანსიონიზმის პრინციპი წარმოადგენს სხვადასხვა მეცნიერებათა სინთეზის შედეგს, კონკრეტულ შემთხვევაში კი, ლინგვისტიკის სხვა მეცნიერებებთან - ფილოსოფიასთან, ლოგიკასთან, ფსიქოლოგიასთან, სოციოლოგიასთან, ისტორიასთან, კულტუროლოგიასთან, სისტემოლოგიასთან - აქტიური დიალოგის შედეგს. ლინგვისტიკაში ექსპანსიონიზმი გულისხმობს, ერთი მხრივ, სხვა მეცნიერებათა გავლენას ლინგვისტიკაზე, მეორე მხრივ კი, ლინგვისტიკის გავლენას სხვა მეცნიერებებზე. ექსპანსიონიზმის პრინციპი განისაზღვრება როგორც სხვა მეცნიერებებისათვის რელევანტური ცოდნის „შეჭრა“

ლინგვისტიკის სააზროვნო სივრცეში. დღეს სრულიად შეუძლებელია ახალი ლინგვისტური თეორიის არსებობა ლინგვისტიკის სხვა სააზროვნო სივრცეებთან ინტეგრაციის გარეშე.

ანთროპოცენტრიზმი - თანამედროვე სამეცნიერო სივრცის მასშტაბური ტენდენცია და თანამედროვე ლინგვისტიკის ბირთვული იდეა - რეალიზდება ენისა და ადამიანის ურთიერთქმედების სფეროში.

ანთროპოცენტრიზმის პრინციპი, ლინგვისტურ კვლევებში აქტიურად სარგებლობს საბაზისო მეთოდოლოგიის სტატუსით. იგი იძლევა ენობრივი ფენომენის კვლევის შესაძლებლობას ადამიანური ფაქტორის გათვალისწინებით.

რაც შეეხება ფუნქციონალიზმს, იგი ორიენტირებულია საკვლევი ობიექტის ფუნქციათა იდენტიფიცირებაზე. ენობრივი მოვლენებისადმი ფუნქციონალური მიდგომის ცენტრში მოქცეულია ენის როგორც ინსტრუმენტის, იარაღისა და ადამიანის ინტენციათა რეალიზაციის საშუალების არსი.

ექსპლონატორულობა წარმოადგენს თანამედროვე ლინგვისტიკის ტენდენციას, რომელიც მიზნად ისახავს ენის შინაგანი ორგანიზაციის სპეციფიკის ახსნას. ექსპლონატორულობის პრინციპი რეალიზდება ექსპანსიონიზმისა და ანთროპოცენტრიზმის პრინციპების ფუნქციონირების წყალობით.

მთლიანობრივ და სისტემურ მიდგომათა შორის არსებული მიმართების არსი წარმოადგენს ერთ-ერთ დისკუსიურ საკითხს. კვლევამ ცხადყო, რომ ამ მიდგომათა დაპირისპირება სრულიად ხელოვნურია. მთლიანობრიობა უნდა აღვიქვათ როგორც საგნის ან მოვლენის მდგომარეობა, სისტემურობა კი ახასიათებს ელემენტთა - მთელის ნაწილთა - ურთიერთქმედებას. სისტემურობა წარმოადგენს

მიმართებათა მახასიათებელს. მთლიანის ნაწილი და სისტემის ელემენტი არ განიხილება იგივეობრივ ერთეულებად. მთლიანობას შეუძლია ფუნქციონირება რამდენიმე ნაწილის გარეშე. იმავდროულად, ელემენტის ნგრევასთან ერთად ხდება სისტემის ნგრევა. მთლიანობა წარმოადგენს ნაწილთა არა უბრალო ჯამს, არამედ ნაწილთა ერთიანობას, ნაწილთა შორის არსებულ მიმართებათა სისტემას. სწორედ ამიტომაც მიზანშეწონილი ლაპარაკი სისტემურ მთლიანობაზე. სისტემა გულისხმობს როგორც ფუნქციებს, კავშირებსა და ელემენტებს შორის არსებული მიმართებების, ისე მთლიანობის კოორდინაციასაც.

მთლიანობრივი მიდგომა ყოველთვის არ გულისხმობს სტრუქტურული მიდგომის გადალახვას. სისტემურ მიდგომას ხშირად მიაწერენ კომპლექსურობას, რაც ნიშნავს საკვლევი ობიექტის მთელი სისრულით მოცვას. კომპლექსურობა წარმოადგენს მთლიანობრივი პრინციპის ინტერპრეტაციის შედეგს.

რამდენადაც ნებისმიერი ფენომენის კომპლექსურობა გულისხმობს მის მრავალგანზომილებიანობას, ამგვარი ფენომენის კვლევა გონივრული მხოლოდ სხვადასხვა სააზროვნო სივრცეთა სინთეზირებითაა შესაძლებელი. სწორედ ამ სინთეზში ფართოვდება და ყალიბდება ტრადიციულ დისციპლინათა ახალი საზღვრები. როგორც წესი, ორიგინალური თეორიები იქმნება არა სამეცნიერო-კვლევითი პროგრამის „ბირთვში“, არამედ დისციპლინური ცოდნის „პერიფერიაზე“, სხვა სიტყვებით, მეცნიერების ინტერდისციპლინარულ საზღვრებზე.

კვლევის პროცესმა ცხადყო მეთოდოლოგიური ინდივიდუალიზმისა და მეთოდოლოგიური ჰოლიზმის პრინციპებს შორის გადაულახავი ზღვრის არარსებობა. ასახავენ რა ფენომენის შესახებ განსხვავებულ ხედვას, აღნიშნული პრინციპები ავსებენ ერთმანეთს. ინდივიდუალიზმისა და მეთოდოლოგიური ჰოლიზმის პრინციპები

გამოიყენება კვლევის განსხვავებულ ეტაპებზე - მკვლევარი ირჩევს პრინციპტა ამა თუ იმ რეპერტუარს ამოცანის სპეციფიკის გათვალისწინებით.

სადისერტაციო ნაშრომის ძირითადი დებულებები გამოქვეყნებულია შემდეგ პუბლიკაციებში:

1. "The Value and the Representation of the Concept - "Dream" in the Lexical-Semantic System and Discourse of English Language". The 4th International Conference on Social sciences, Humanities and Education. ბერლინი, გერმანია, 2020
2. კონცეპტის „ოცნება“ ღირებულებითი მნიშვნელობა და კონცეპტის რეპრეზენტაცია ინგლისური ენის ლექსიკურ-სემანტიკურ სისტემასა და დისკურსში. საერთაშორისო რეცენზირებადი მულტილინგვური სამეცნიერო ჟურნალი "Scripta manent", N 4 (48), 2020
3. აქსიოლოგიური გადახრა სემანტიკაში. საერთაშორისო რეცენზირებადი მულტილინგვური სამეცნიერო ჟურნალი "Scripta manent", N 4 (48), 2020

The University of Georgia

The School of Arts and Humanities

Philology

Manuscript Copyright Protected

Tatia Chiradze

The Essence of Integrativeness of Modern Linguistic Research

Synopsis

of the thesis submitted in partial fulfillment for the Degree of Doctor of Philosophy (PhD) in Philology

232.1.3

Tbilisi

2021

The doctoral dissertation has been written at the School of Arts and humanities, The University of Georgia.

Academic Supervisor: Maia Chkheidze,
Doctor of Philological science,
Professor

Reviewers: Madona Shelia,
Doctor of Philological science,
Assc. Professor

Rusudan Gotsiridze,
Doctor of Philology,
Professor

The defense of the dissertation will on be held on August 16, at 16:00 p.m.
Venue: **The University of Georgia, Room #519, Building IV, 77a, Kostava str, 0165, Tbilisi, Georgia.**

A copy of the dissertation is available at the library of the University of Georgia.

The synopsis was sent **on May, 2020.**

Secretary of the Dissertation Board: Natia Manjikashvili

Introduction

The development of linguistics as a science is not only a chronological sequence of language theory, but also a complex and contradictory history of the development of linguistic cognition and, consequently, linguistic methodology.

The state of any science at every stage of its history is driven by:

1. The tasks set by the society;
2. The peculiarities of the history of its own development;
3. The state of its adjacent and non-adjacent sciences.

Modern linguistics is developing in two different and at the same time interconnected directions, in particular: the directions of internal differentiation and integration with other sciences. Both processes can take place simultaneously. The essential markers of modern science, including linguistics, are polyparadigmism and integrativeness.

Frequently the difficulty of explication of methodological guidelines, which requires new scientific reflection and deep theoretical knowledge, is revealed in the falsification of the integrative research. The thing is that the research in which one of the disciplines is thought to be dominant and the other one to be non-dominant is often considered to be integrative. The mentioned fact determines the actuality of the research.

The goal of the research is the integrative analysis of the concept to create a holistic content-based field. The connection between the concepts of "holism" and "goal" is obvious. Achieving a goal implies completing an action, closing the circle, attaining perfection and completeness. The goal is achieved when the integral construct is built.

The fact that the models and approaches of each scientific space should be maintained in a truly integrative research, makes the problem even more complicated.

A unified direction of the scientific research and a joint interpretation of the data are possible only if the research is based on the "shared" theoretical assumptions and methodological guidelines of different scientific spaces. Here we deal with the specifics of the principles of methodological individualism and methodological holism.

The tasks and research stages that serve to achieve the set goal are:

Pre-integrative stage:

1. the task of this stage is to encompass the analysis of the goal necessary to identify the conditions of integration and determine the presence or absence of the structured, functionally related components;

Integrative stage: the tasks of this stage are:

1. Abstraction of the structurally ordered but functionally related different components;
2. Combining the components through conglomeration or synthesis.

Post-integrative stage: the tasks of the stage imply:

1. Systematization of the integrated components;
2. Generating an integral knowledge system.

The hypothesis of the work is as follows: the integrative research of the concept is feasible through the integration of methodological individualism and the principles of methodological holism.

The basis of the integrative methodology is the principle of holism, according to which a phenomenon is considered to be a complex, open, multilevel, multidimensional and dynamic unit being in homeostasis.

The principle of holism in the context of integrative methodology implies a systematic analysis of the research phenomenon. This principle is not only the basis for accessing the phenomenon, but also the strategy for constructing and analyzing the phenomenon. It is this strategy that gives the opportunity to reveal the essence, in-depth connections and qualities.

Integrative methodology is focused on identifying the relationships between different scientific spaces. The research is based on a synthesis of methods and principles developed within the premises of immanent and non-immanent approaches.

The scientific novelty of the paper is revealed in the practical implementation of the following idea: according to the integrative approach, the whole (the concept) is not a combination of discrete aspects, but an inseparable network of relationships between aspects. The parts of the whole (components, units) acquire meaning only due to their relation to the whole.

The theoretical value of the research is determined by:

1. The rationality of understanding the methodological individualism and methodological holism as alternative approaches;
2. The analysis of the content of the integrative methodology;
3. Defining the essence of the methodological individualism and complementarity of the methodological holism.

The practical value is determined by the validity of the research results for the lecture courses of modern theories and research methods of linguistics, structural linguistics and anthropological linguistics.

Linguistic representations of the concept of "Dream" in modern English are used as research material. The material is obtained from the analysis of explanatory dictionaries, samples of fiction and the data of associative experiment.

The structure of the work comprises the introduction, chapters, sub-chapters, conclusions, and bibliography.

The actuality and scientific novelty of the research topic are outlined in the introduction. The research goals and tasks requisite to achieve the set goals,

theoretical and practical values of the thesis, as well as research methodology are defined.

Chapter I - Science and Methodology – This Chapter focuses on the identification of the peculiarities of the holistic and systemic approaches and the key characteristics of the process of creating the whole.

Chapter II - Axiology - This Chapter discusses the theory of value and axiology in the context of moral philosophy; the concept of "American Dream" as the core of the American worldview is analyzed.

Chapter III - The Essence of the Integrativeness of Linguo-culturology - This Chapter is devoted to the analysis of the results generated at the intersection of language and culture; the essence of stability and dynamism of the linguo-cultural concept as well as the peculiarities of synthesizing cultural linguistics and applied ethnolinguistics are discussed.

Chapter IV - The analysis of the Concept of “Dream” in Different Dimensions - This Chapter is devoted to the analysis of the value of the concept of "Dream" and the specifics of its representation in the lexical-semantic system and discourse of modern English; the analysis of the psycholinguistic model of the concept of "Dream" in modern English, prototype cognitive models of the concept of "Dream" in English linguistic consciousness and the peculiarities of objectification of the concept of "American Dream" in literary discourse are presented.

Conclusion

Modern linguistics is developing in two different and at the same time interconnected directions, particularly: the directions of internal differentiation and integration with other sciences.

The constructive feature of modern linguistics is the inclination towards integrativeness. Integrative approach focuses on identifying the features of the process of generating the new integral construct from different elements.

The integrative vector of modern linguistics is manifested in closely related processes. In modern linguistics the boundary between disciplines is blurred and a unified scientific worldview is created. Elements of different scientific spaces - concepts, theories, methods - become intertwined. Integrative research acquires an interdisciplinary orientation.

The ontological basis of the integrative approach is the principle of holism, according to which the whole is greater than the sum of its constituent parts. Due to the unification of different parts, something qualitatively new emerges on each new level of integration. The newly emerged whole is not derived from the properties of different parts.

The epistemological basis of the integrative approach is the orientation towards the concordance considered to be the criterion of truth.

The essence of the integrative methodology is the following: the whole has the ability to self-regulate and develop. The structure of the whole is hierarchical. In this hierarchy, each element represents the "whole" with respect to its parts and the "part" with respect to the larger whole. There are not just summative but also horizontal, vertical, structural, functional and cause-effect relations between the parts of the whole. The whole is not a combination of discrete objects – the whole is an indivisible network of phenomena, events, and relationships. The parts (components) of the whole gain meaning only due to their relation to the whole.

From a procedural perspective integration takes place in several stages: in the first stage, connections between the elements are formed, then the

boundary between them is broken. Then the elements lose their old (individual) properties, get closer to each other and acquire new properties.

The integrativeness of linguistic knowledge is the result of functioning the scientific principles of expansionism, anthropocentrism, exponentialism, functionalism and cognitivism.

Expansionism in linguistics is associated with the expansion of the boundaries of linguistic thought which provides the search for new possibilities for the study of the object.

Expansionism is manifested in "meeting" linguistics with other sciences and in the integration of adjacent sciences into one large scientific space. The essence of expansionism is evident in the contrast with reductionism. The principle of expansionism is the result of the synthesis of different sciences, and in this case, the result of active dialogue of linguistics with other sciences - philosophy, logic, psychology, sociology, history, science of culture, systemology. Expansionism in linguistics implies, on the one hand, the influence of other sciences on linguistics, and, on the other hand, the influence of linguistics on other sciences. The principle of expansionism is defined as the "invasion" of knowledge relevant to other sciences into the space of linguistic thought. Today it is completely impossible to have a new linguistic theory without integrating linguistics with other scientific spaces.

Anthropocentrism, a large-scale trend in modern scientific thought and the core idea of modern linguistics, is realized in the context of language and human interaction.

The principle of anthropocentrism actively enjoys the status of a basic methodology in linguistic studies. It provides an opportunity to study the linguistic phenomenon by considering the human factor.

As for functionalism, it focuses on identifying the functions of the research object. The essence of language as an instrument, a tool, and a means of realizing human intentions is at the center of the functional approach to linguistic phenomena.

Explanatoriness is a trend in modern linguistics that aims at explaining the specifics of the internal organization of language. The principle of explanatoriness is realized due to functioning the principles of expansionism and anthropocentrism.

The essence of the relationship between integral and systemic approaches is one of the topics under discussion. The research has shown that the controversy over these approaches is completely artificial. Integrity should be perceived as the state of an object or event, while the interaction of elements is characterized by systemic nature. Systematism is characteristic of the relations. The part of the whole and the element of the system are not considered to be identical units. The whole can function without some parts. Meanwhile, with the destruction of the element, the system collapses. The whole is not a simple sum of parts, but a unity of parts, a system of relations between parts. That is why it is advisable to discuss the systemic whole. The system implies coordinating both the relationships between functions, connections, and elements, as well as their integrity.

A holistic approach does not always imply overcoming a structural approach. The systemic approach is often attributed to complexity, which means covering the entire object of study. Complexity is the result of an interpretation of the holistic principle.

Since the complexity of any phenomenon implies its multidimensionality, the study of such a phenomenon is reasonable only by synthesizing different scientific spaces. It is in this synthesis that new frontiers of traditional disciplines are expanded and formed. As a rule, original theories are created

not in the "core" of a research program, but in the "periphery" of disciplinary knowledge, in other words, on the interdisciplinary frontiers of the science.

The research process revealed the absence of an insurmountable boundary between the principles of methodological individualism and methodological holism. These principles complement each other and reflect a different view of the phenomenon. The principles of individualism and methodological holism are applied at different stages of the research – given the specifics of the task the researcher selects particular repertoire of principles.

List of Publications:

1. “The Value and the Representation of the Concept - "Dream" in the Lexical-Semantic System and Discourse of English Language”. The 4th International Conference on Social sciences, Humanities and Education. Berlin, Germany, 2020
2. Axiological bias in Semantics. International peer-reviewed multilingual scientific journal “Scripta manent”, N 4 (48), 2020.

3. The value of the concept “dream” and the representation of the concept in the lexical-semantic system and discourse of English Language. International peer-reviewed multilingual scientific journal “Scripta manent”, N 4 (48), 2020.